1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება - ეკონომიკა (Economics)

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ფილოსოფიის დოქტორი ეკონომიკაში (Ph.D in Economics)

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – რევაზ გველესიანი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი

ეკონომიკის მიმართულებაში სინთეზირდება ეკონომიკური და პოლიტიკური ცოდნა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს, მისი ეკონომიკისა და ბიზნეს-სტრუქტურების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების შესამუშავებლად. აღნიშნული მიმართულება უზრუნველყოფს ეკონომიკური, პოლიტიკური და ფინანსური პროცესების სტრატეგიული გაძღოლის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რომლებმაც უნდა შეძლონ არა მარტო საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების სისტემური ანალიზი, არამედ მიოახდინონ სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების პრაქტიკაში რეალიზება. ასეთ სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, მსხვილ კორპორაციებსა და კონსალტინგურ ცენტრებში.

პროგრამის შედეგი

დოქტორები მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად განავითარონ მიღებული ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ ეკონომიკური მოვლენები და პროცესები და მოახდინონ მათი ინტერპრეტირება პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (თსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 მაისის დადგენილება №23). მას უნდა გააჩნდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი. ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).